

With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



„სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“

"Europeanization of law programs in Georgia"

EU-LP-GE

ევროკავშირის Erasmus+ პროგრამების მხარდაჭერით

Jean Monnet Module: 101084764 — EU-LP-GE

With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



„სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“
"Europeanization of law programs in Georgia"

ევროკავშირის პოლიტიკა

- ევროპული ინტეგრაციის არსი
- კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმები
- საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- ევროპული ინტეგრაციის ფუნდამენტურ საფუძველი ევროპის ხალხთა სოციო-კულტურული სიახლოვეა.
- სხვადასხვა ხალხებისათვის ევროპა იყო ერთიანი ცენტრი, საიდანაც მსოფლიოში ვრცელდებოდა ევროპული ღირებულებები.
- 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის უმძიმესმა შედეგებმა დაანახა მსოფლიო საზოგადოებას, რომ ევროპის დანგრეული და ინფრასტრუქტურულად ჩამოშლილი ეკონომიკის აღდგენა მხოლოდ სახელმწიფოთა თანამშრომლობით იყო შესაძლებელი.
- ეს კი მომავალში თავიდან აგვაცილებდა ქვეყნებს შორის დაპირისპირებების წარმოქმნის საშიშროებასა და ახალ ომებს.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- ევროინტეგრაციის ათვლის წერტილად 1950 წლის 9 მაისს მიიჩნევენ;
- ფრანგი პოლიტიკოსის **ჟან მონეს** მიერ წამოყენებული წინადადება ოფიციალურად გააჟღერა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **რობერ შუმანმა**;
- საქმე ეხებოდა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანებას;
- ჟან მონეს ინიციატივის თანახმად, ისტორიული მეტოქეები – საფრანგეთი და გერმანია უნდა გაერთიანებულიყვნენ სხვა ევროპულ ქვეყნებთან იმ მიზნით, რომ დამოუკიდებლად აღარ დაემუშავებინათ ქვანახშირი და ფოლადი.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- ჟან მონეს ეს წინადადება ეფუძნებოდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ქვეყანას ომის საწარმოებლად სჭირდებოდა ფოლადი, რომლისგანაც მზადდებოდა საბრძოლო მასალა და ქვანახშირი – ქარხნებისა და რკინიგზის ენერჯით მოსამარაგებლად;
- უმნიშვნელოვანესი რესურსების წარმოებისა და რეალიზაციის დაქვემდებარება საერთო ზეეროვნული ორგანოსთვის („უმაღლესი მთავრობისთვის“), მოემსახურებოდა უმთავრეს მიზანს – უზრუნველყოფდა გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიან თანაცხოვრებას;

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- 1951 წელს შეიქმნა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ - საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების შემადგენლობით.
- 1957 წელს ხელი მოაწერეს მთელი ეკონომიკური სისტემის დაახლოების ხელშეკრულებას. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ შექმნით ევროპის საერთო ბაზარი გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს გაუადვილებდა თანამშრომლობას ვაჭრობის სფეროში.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

ევროკავშირის დევიზი

- „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ (*In varietate Concordia*)
- გვამლევს თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას ევროპული ცხოვრების წესის გარანტად აღიარებულ ფასეულობაზე დაფუძნებული გამოცდილებით.
- როცა ყველას შეუძლია აღიმალლოს ხმა, მიიღოს მონაწილეობა მრავალფეროვანი საზოგადოების მართვაში, არ ეშინოდეს შესაძლო შედეგების თუ მათი მოქმედება არ ზღუდავს სხვა მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

ევროკავშირის მიზნები

- ევროპული ფასეულობებისა და საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის განვითარების ხელშეწყობა;
- მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მდგრადი განვითარების გაძლიერება დაბალანსებული ეკონომიკური ზრდითა და ფასების სტაბილურობით, მაღალკონკურენტული საბაზრო ეკონომიკით, სრული დასაქმებითა და სოციალური პროგრესით, გარემოს დაცვით;

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

ევროკავშირის მიზნები

- ბრძოლა სოციალური იზოლაციასა და დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ;
- სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა;
- ევროკავშირის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური, ტერიტორიული ერთიანობისა და სოლიდარობის ხელშეწყობა, შიდა ბაზრის ჩამოყალიბება საბაჟო საზღვრების გარეშე;

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

ევროკავშირის მიზნები

- მდიდარი კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების პატივისცემა;
- ერთიანი ვალუტით ეკონომიკური და სავალუტო კავშირის განვითარება და ერთმანეთის (ქვეყნების) გაძლიერება.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

ტერმინი - „ევროპელი“ – „ევროპული“

- გამოიყენება ევროკავშირის მოქალაქეობის კონტექსტში.
- ევროპა აღარ არის მხოლოდ გეოგრაფია, ევროპა იდეაცაა.
- ევროკავშირი არც კონტინენტია და არც ტრადიციული ერი სახელმწიფო.
- სინამდვილეში, ის აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური ალიანსი.
- იგი ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოების კავშირია და ეს ფასეულობები პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათისაა.

ინტეგრაციის გაგება - ევროპეიზაცია

როდესაც ჟან მონე „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში“ მიმდინარე პროცესებს აანალიზებდა, ამბობდა, რომ მომავალში ეროვნულ პოლიტიკებს მარტივად ჩაანაცვლებდა ევროპული პოლიტიკა;

ამის გაკეთება რთული აღმოჩნდა, რადგან, რომ მიაღწევდნენ ერთიან შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილებას გადასცემდნენ ევროკავშირს, რასაც მოჰყვებოდა უფლებამოსილების თანაბარზომიერი გადაცემა პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში.

უკანასკნელ ხანებში წევრი სახელმწიფოების როლის შეცვლაზე ლაპარაკისას აქცენტს აკეთებენ ევროპეიზაციაზე.

ტერმინი ერთობ მოდური გახდა სოციოლოგებს შორის, თუმცა თავად მის მნიშვნელობაზე ბოლომდე ვერ თანხმდებიან

ინტეგრაციის გაგება - ევროპეიზაცია

ეს არის პროცესი, რომლის განმავლობაშიც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სახელმწიფო კანონმდებლობა და პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პოლიტიკასთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ, ცვლილებები უნდა განახორციელონ თანდათანობით;

ბოლო ხანებში ევროპეიზაციის შესახებ მიმდინარე დებატებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ევროპეიზაციის პროცესი აღმოსავლეთ ევროპის ახალ წევრ სახელმწიფოებზე;

ერთმანეთისაგან მიჯნავენ ევროინტეგრაციას (პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკის შემუშავება სუპრანაციონულ დონეზე) და ევროპეიზაციას:

ინტეგრაციის გაგება - ევროპეიზაცია

1. ცვლილებები ევროპის შიდა საზღვრებში;
2. ევროპული დონის ინსტიტუციების განვითარება;
3. მთავრობათა სახელმწიფოებრივი და ქვესახელმწიფოებრივი სისტემების ადაპტირება მთელი ევროპის საერთო ნორმებთან;
4. პოლიტიკური ორგანიზაციების მკვეთრად ევროპული ფორმების ექსპორტი ევროპის საზღვრებს გარეთ;
5. რამდენად ხდება ევროპა უფრო მთლიანი და ძლიერი პოლიტიკური ერთეული.

ევროპული ფასეულობები

- ინტეგრაცია
- მოთმინება
- სამართლიანობა
- სოლიდარობა
- არა დისკრიმინაციას
- ადამიანის ღირსება
- დემოკრატია
- თავისუფლება
- თანასწორობა
- თანასწორობა
- კანონის უზენაესობა
- ადამიანის უფლებები

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

კეთილდღეობამ და პროგრესმა განაპირობა გაერთიანების შემადგენლობაში კიდევ სხვა ქვეყნების გაწევრიანებაც.

- **1973** - დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია;
- **1981** - საბერძნეთი;
- **1986** - პორტუგალია და ესპანეთი;
- **1995** - ავსტრია, ფინეთი და შვედეთი;
- **2004** - ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა;
- **2007** წელს რუმინეთი და ბულგარეთი;
- **2013** წელს ხორვატია.

ევროკავშირის გაფართოება

- დაიწყო ევროპულ ფასეულობებთან სხვა სახელმწიფოების დაახლოების პროცესი;
- დახმარება რთული რეგიონებისათვის;
- დახმარება ღარიბი ქვეყნებისათვის;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვა;
- გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარება;
- ევროპაში არსებული საერთო პრობლემების მოგვარება;
- ევროპის კავშირში მცხოვრებ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს, ისწავლოს ან იმუშაოს მისთვის სასურველ წევრ–სახელმწიფოში.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- საერთო ბაზრის შექმნით უქმდებოდა სასაზღვრო შემოწმებები და საბაჟო მოსაკრებელი;
- უნდა მოხსნილიყო ყველა შეზღუდვა *საქონლის, მუშა-ხელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების* თვალსაზრისით;
- შეიქმნა ეროვნული მთავრობების წარმომადგენლების ორგანო – მინისტრთა საბჭო. გაფართოვდა ადრე შექმნილი საპარამენტო ასამბლეა და მართლმსაჯულების სასამართლო;

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- საერთო ბაზრის შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ მოსახლეობამ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება შეიგრძნო;
- „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ ქვეყნები ერთად ზრუნავდნენ ევროპაში არსებული სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაზე.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- ევროკავშირში წევრმა–სახელმწიფოებმა გააღრმავეს ბაზრის ერთიანობა.
- თანმიმდევრულად გაუქმდა საქონლის, მომსახურების, მუშა–ხელისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შემაფერხებელი ბარიერები.
- დღეს სახელმწიფოთა შორის გადაადგილება ისევე თავისუფალია, როგორც თავად ქვეყნებს შიგნით.

ევროკავშირის შექმნა და გაფართოება

- ამიტომ ევროკავშირის ბაზარს დღეს უკვე არა საერთო ბაზრის, არამედ შიდა ბაზრის სახელით მოიხსენიებენ. 1993 წლიდან „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ ჩაანაცვლა „ევროპის კავშირმა“, რადგან ის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირია.
- ქვეყნები თანამშრომლობენ მართლწესრიგის დაცვის, უსაფრთხოების საგარეო ურთიერთობების საკითხებში.
- თანდათანობით დაიხვეწა კავშირის სტრუქტურა, გადაწყვეტილებების მიღების წესები და პროცედურები.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები

1993 წლიდან ევროკავშირში გაწევრიანებისათვის სახელმწიფოებმა უნდა დააკმაყოფილონ ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმები:

- **პოლიტიკური** – ქვეყნებს აქვთ სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე, უმცირესობების პატივისცემაზე აგებენ პასუხს;
- **ეკონომიკური** – ქვეყნებში ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა და შეუძლიათ გაუმკლავდნენ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკურენტულ გარემოსა და სხვა გამოწვევებს.
- **სამართლებრივი** – ქვეყნებისათვის მისაღებია ევროკავშირში დაწესებული კანონები და სამართლებრივი პრაქტიკა.

გეოგრაფიული - ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს ევროკავშირის წევრობის სურვილი, თუ იგი პატივს სცემს ევროკავშირის დემოკრატიულ ფასეულობებს.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები

ეს კრიტერიუმები კიდევ უფრო გააძლიერა მადრიდის 1995 წლის ევროპულმა საბჭომ. შედეგად, 1993 წლის შემდგომი გაფართოების ყველა პროცესი უფრო სკრუპულოზურ შემოწმებას ეფუძნება.

პერიოდულად, ხდება ამ კრიტერიუმების ხაზგასმა და გაძლიერება.

მაგალითად, 1999 წლის ჰელსინკის ევროპულმა საბჭომ დასკვნით დოკუმენტში აღნიშნა, რომ

„კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს მიერ შემუშავებული პოლიტიკური კრიტერიუმების შესრულება არის გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის წინაპირობა,

ხოლო კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან შესაბამისობა კავშირთან მიერთების საფუძველი“

კოპენჰაგენის კრიტერიუმები

ევროკავშირისთვის 30 წლის შემდეგაც, კოპენჰაგენის კრიტერიუმები კვლავ წარმოადგენს გაფართოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მძლავრ, სამართლიან და პროგნოზირებად საშუალებას.

2013 წელს, კოპენჰაგენში ამ კრიტერიუმების შემოღების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე შტეფან ფულემ აღნიშნა, რომ

კრიტერიუმები დღემდე რელევანტურია და საუკეთესო გარანტიაა იმისთვის, რომ გაფართოების პროცესი არ დაჩქარდეს.

მისი თქმით, ამ კრიტერიუმებმა გაუძლო დროის ტესტს და დღემდე რჩება ევროკავშირის გაფართოების ხარისხის საზომად.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები

კოპენჰაგენის კრიტერიუმების მნიშვნელობის მიუხედავად, აღსრულების შეფასების რაიმე ერთიანი, გაწერილი სისტემა არ არსებობს;

თავად კრიტერიუმები ძალიან ზოგადია იმისთვის, რომ რიცხობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებლები ახლდეს.

ერთგვარი „შემოწმების სია“ მოცემულია „პროგრესის ანგარიშებში“, რომელსაც ევროკავშირი, კერძოდ კი ევროკომისია 1997 წლის ლუქსემბურგის ევროპული საბჭოდან მოყოლებული რეგულარულად აქვეყნებს თითოეულ კანდიდატ ქვეყანასთან მიმართებით.

მოხსენებებში შეფასებულია კანდიდატი ქვეყნების მზადყოფნა ევროკავშირის წევრობისთვის და ეგზავნება საბჭოსა და ევროპარლამენტს.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები

კოპენჰაგენის კრიტერიუმები ამ პროგრესის ანგარიშებში კონკრეტულ ქვეთავებად არის ჩაშლილი და პირდაპირ ეხმიანება კოპენჰაგენის სამივე კომპონენტს (დემოკრატია, ეკონომიკა, გაწევრიანების უნარი).

მეორე მხრივ, თითოეული თავის/ქვეთავის შინაარსი განსხვავებულია გაწევრიანების სურვილის მქონე ყველა ქვეყნისთვის.

ამ თავების შინაარსი განისაზღვრება იმით, თუ სად დგას ქვეყანა კონკრეტულ კრიტერიუმებთან მიმართებით და რა საკითხები საჭიროებს პროგრესს (კანონმდებლობის შეცვლის, გადაწყვეტილების, თუ პოლიტიკის შემუშავების გზით), რათა დაკმაყოფილდეს დემოკრატიის, ეკონომიკის და გაწევრიანების უნარიანობის ევროკავშირისთვის მისაღები მაჩვენებლები.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები დემოკრატია და კანონის უზენაესობის სფერო

კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობა გაწევრიანების მსურველი ნებისმიერი ქვეყნისთვის დემოკრატიის მაღალი სტანდარტის ქონაა.

მთავარი პრიორიტეტი იყო კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან შესაბამისობის გაზრდა და სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესის პირობების შესრულება.

ევროკავშირმა გააფართოვა დემოკრატიის შეფასების კრიტერიუმები კონკრეტული თემებით - დემოკრატია და კანონის უზენაესობის სფერო

დემოკრატია და კანონის უზენაესობის სფერო

სასამართლო სისტემის გაძლიერების თვალსაზრისით კუთხით ევროკავშირმა დასახა არაერთი რეფორმის მიმართულება:

- სასამართლო რეფორმის სრულფასოვანი სტრატეგია,
- კარიერის მენეჯმენტის სისტემის შემოღება,
- სასამართლოს კომპეტენციის გაზრდა,
- სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფა, მოსამართლეთა, პროკურორთა და ადმინისტრაციულ თანამშრომელთა ტრენინგი,
- დაგროვილი საქმეების შემცირება და სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული და სათანადო აღსრულებისთვის შესაბამისი ზომების მიღება.

დემოკრატია და კანონის უზენაესობის სფერო

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება:

შექმნა შესაბამისი კანონმდებლობა,

გაეძლიერებინა ადმინისტრაციული და ოპერაციული შესაძლებლობები,

განევითარებინა ეროვნული სტრატეგია და

უზრუნველყო შესაბამის დეპარტამენტებს შორის კოორდინაცია.

ასევე, შემოეღო შესაბამისი

ეთიკის კოდექსი და გაეზარდა ცნობიერება კორუფციის, როგორც სერიოზული დანაშაულის შესახებ.

დემოკრატია და კანონის უზენაესობის სფერო

საჯარო ადმინისტრაციის ეფექტურობის გაზრდა:

ადამიანური რესურსების უკეთესი მენჯმენტის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, რეკრუტირებისა და დაწინაურების კუთხით

საჯარო სამსახურის ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალების ზრდის ხელშეწყობა.

კონსტიტუციის 78-ე მუხლი

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე საქართველოს საზოგადოებამ მტკიცე არჩევანი გააკეთა საკუთარი მომავალი განვითარების ვექტორის თაობაზე;

ნატოსა და ევროკავშირში სრულფასოვანი წევრობა განსაზღვრა როგორც ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფუნდამენტური მიმართულება.

საქართველოს კონსტიტუციის 78 მუხლი ამბობს:

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

გმადლობთ
ყურადღებებისათვის!

შეკითხვები

?